


შაბათი 22 აგვისტო. | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე | № 34 — 1915



**მწერალი ქალი კნ. ნინო ორბელიანისა**

ამ ჟამად ავადაა და „ბრისტოლის“ ნომრებში ბინადრობს

# შინაარსი № 34


1 მეთაური—ა) სახვალიოდ რა მოგველის? ბ) მელპომენა სტირის 1
2 ი. სიხარულიძე—ვაჟა-ფშაველას ხსოვნას 2
3 შუშანიკ ასათიანი-ბუაჩიძისა—შაიამა 3
4 მ. ჯანაშვილი—ვაჟა-ფშაველობა 5
5 შალვა დადიანი—დასის მოგზაურობა 7
6 კ. ჭიჭინაძე—*** კიდევ მახსოვხარ 8
7 ილია ბახტაძე—საზოგადო მოღვაწენი, ალ. გარსევანიშვილი „
8 პ. ირეთელი—ბედნიერი დღე 10
9 გ. შინატეხელი—მე არ ვარ 12
10 მ. აბრამიშვილი—ღამის მგოსანი, გ. ტაბიძის ლექსები (გაგრძ) „
11 ალი-ძამია—ფირფიტე კაბა (სცენა) 13
12 ვ. კირვალიძე—სამგლოვიარო წერილი 14
13 ქართული სახიობა „
14 წვრილი ამბები „



1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის
ახალი გაზეთი

## სამშობლო

ფასი: ერთი წლით 8 მან. ნახევარწლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ. დამატებიანი—7 კ. ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს. წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის მისამართით: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა. გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე. სთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე**

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხეილის პრ. № 131

საუცხოვო საზაფხულო როტონდით, სცენით და მშვენიერი, ელექტრონით განათებული, ბაღით.

| | |
|---|---|
| **პარასკევს, 21 აგვის.** | სინემატოგრაფი და საზანდარი |
| **შაბათს, 22 აგვისტოს** | ქართული ოპერეტტა |
| **კვირას, 23 აგვის.** | კონცერტი |
| **ორშაბათს: 24 აგვის.** | საზანდარი |
| **სამშაბათს 25 აგვის.** | რუსული წარმოდგენა |
| **ოთხშაბათს 26 აგვის.** | ქართული წარმოდგენა, |
| **ხუთშაბათს 27 აგვის.** | საბავშო საღამო: სიმებიანი ორკესტრი |
| **პარასკევს 28 აგვის.** | საზანდარი; სინემატოგრაფი |
| **შაბათს 29 აგვის,** | კონცერტი |
| **კვირას 30 აგვ.** | მალოროსიული დასის წარმოდგენა |

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

**შესავალი ფასი:** მამაკაცნი იხდიან, —30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ.

წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი—$8^1/_2$ ს., საბავშვო საღამო—5—9 ს.

# თეატრი და ცხოვრება

## № 34

წელიწადი მესამე

**წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ** ცალკე ნომერი **10 კ.** ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: **Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41





4391


## 22 აგვისტო

**სახვალიოდ რა მოგველის?!**

ევროპა გაშიშვლდა, გამოჩნდა მისი ნამდვილი სახე—გარეგნულად შეთხუპნული, შინაგანად საფთხუნი, მახინჯი...

არარად ჰქმნეს სილამაზის ხელთ უქმნელი ტაძარი, გაცამტვერდა მრავალ წელთა მონარუქი სიყვარულის მცნებანი...

ყველა თავისთვის საქმობს გაფაციცებით, უკეთეს მერმისს შეჰხარის,—

მხოლოდ ერთად ერთი ჩვენი მოწინავე საზოგადოების მესვეურად წოდებული რაზმია, რომ დღემდე კიდევ ვერ ჩავარდნილა გულიხმას.

ერთმანეთის გაუტანლობა, გაუთავებელი პაექრობა, ქვენა შენ-ჩემობა, ფართე საზოგადოების თვალში ერთმანეთის დასმენა-დაბეზღება, ეხტიბრის გატეხა, „ჩემი შენსას სჯობსო“ ს ძახილი, ჯგუფურ-დასურ გატაცებით დაბრმავება მთელი თავისი ქვეყნის საზარალოდ,—აი დღესაც რა აწევს მაჯლაჯუნასავით ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ნუ თუ ამაზე კიდევ დიდი უბედურებაა საჭირო, რაც ევროპასთან ერთად ჩვენც დაგვატყდა, რომ კისერი მოვიფხანოთ?!.

დღეს ჩვენს ქვეყანას უცხოეთის ისეთი ძლიერი ტალღა მოაწვა, რომ თუ ბეჯითად არ მოვიქეცით, შეიძლება ქვეშ ხალიჩა გამოგვაცალონ,—სავაჭრო-სამრეწველო-სამეურნეო დარგნი ჩამოგვართვან და ეკონომიურად უფრო ძლიერ დაგვიმონონ...

ამიტომ დღევანდელი ისტორიული მომენტი გვიკარნახებს წარა-მარად გულის თქმას ნუ ავყვეთ, საზოგადოს საპირადო არ ვამჯობინოთ და თუ დაკარგულ პოზიციებს ვერ დავიბრუნებთ, ის მაინც შევინარჩუნოთ—რაც ჩვენს ხელთაა...

დროა, გონს მოვიდეთ და გუშინ თუ ერთმანეთის გაკილვაში ამოგვდიოდა სული, ხშირად ურთიერთის დამცირებით თვით ჩვენს საერთო იდეალებს ფეხ-ქვეშ ვთელავდით, დღეს მაგასვე ნუ ვიმეორებთ და სახვალიოთ ვიზრუნოთ რამე!..

მძიმეა დღევანდელი მდგომარეობა, ამან უნდა შეგვაერთოს და ჩვენის მომავლის საკეთილდღეოდ დღეს ჩვენ საერთო „ჭირსა შიგან მუოფნი გაგვამაგროს, ვით ქვითკირი!“

—·—

**მელპომენა სტირის!**

ერთად ერთი სახალხო წარმოდგენების მმართველი წრეა (სახ სახლში), რომ ცოტად თუ ბევრად იდეურ-ხელოვნურად შეხმატკბილებულ წარმოდგენებს ჰმართავს, თავის მრევლს დღითი დღე ჰზრდის და ჰწრთვნის, ამზადებს..,

ესევე არ ითქმის სხვა უბნის სახალხო თეატრებზე და ზოგიერთ „პროფესიონალ მსახიობთა“ წარმოდგენებზე...

გასულმა და მიმდინარე საზაფხულო სეზონმა ნათლად გვიჩვენა, რომ ბევრმა სცენა ერთად ერთ შემოსავლის წყაროდ დაისახა, სრულიად გვერდი აუქცია წარმოდგენის იდეურ-მხატვრულ მხარეს და მაყურებელთა გონებრივ ესთეტიურ ტკბობას...

სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეთა შეკავშირებისა და საერთო გეგმის შემუშავების შესახებ წინადაც გვქონდა საუბარი, მაგრამ სჩანს „სცენის მოყვარეთა“ კერძოვნობა, „პრემიერობა“ იმდენად ძლიერია, რომ საერთო საქმეზე—**საზოგადოს** სახელით ,თავის **მე-ს** უფრო მაღლა აყენებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად იდეურობას მოკლებული პიესა, არა მხატვრული – პირდაპირ ჯამბაზურ პამპულური წარმოდგენა, რომელიც დარიკუას ბალაგანს უფრო მოგაგონებთ საკვირაცხოვლობით რომ გაიმართება ხოლმე, ვიდრე ხელოვნების სამსხვერპლოს… არც სული, არც, სხეული არც, ფაქიზი ენა…

რაც გუშინ იყო თვის ურიგობით გამოჩენილი, დღეს აღარ უნდა იყოს, რომ სახვალიოდ სულ არ გაქრეს მხატვრულ-იდეური სახიერება.

მერე ნეტა შესაფერი ძალნი არა გვყავდეს?.. გვყავს და ყველა ამას გარშემოკრება უნდა…

მაღალ ღირსეული და ნიჭიერი—სცენაზე, უნიჭო და შეუფერებელი – სცენის გარედ!— აი, რა არის საჭირო.

უხუცეს ქართ. დრამ. საზ. გამგეობას პირდაპირ ევალება სახალხო თეატრთა ასეთ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს და რითაც შეუძლიან ყველას შეეწიოს, რომ წარმოდგენები უკეთ დაიდგას, უკეთეს პირობებში…

დღეს თბილისში უკვე ოთხი სახალხო თეატრია, ზუბალაშვილთა სახელობის სახლის გარდა: ავლაბრის, ნაძალადევის, ხარფუხის, საბურთალოსი. ამ თეატრებში განსაკუთრებით ხალხი დემოსი დაიარება, და სწორედ ამ თეატრებს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება… (კლუბებს არ ვანგარიშობთ)

სეზონი კარს მოგვდგომია, და ნუ თუ ყურად არავინ იღებს სასცენო ხელოვნების ჩამოქვეითებას?!.

მელპომენა სტირის!…

# ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

სწყდება და სწყდება საქართველოს ხმატკბილ ქნარს სიმი,
სამშობლოს მკერდზე გაუმართავს სიკვდილს ნადიმი,
სიკვდილს ვუყვარვართ… კვლავ შეგვახო ფრთა შავი, ცივი,
რომ ხელოვნების სამსხვერპლოზე ჩაგვიქროს სხივი,
ველარ უყივის მზეს არწივი, ცად აწეული,
ის ძირს დაეცა განგმირული, ფრთებ დამტვრეული…
და გაითხარა კვლავ საფლავი, პირქუში, შავი,
კვლავ აქვითინდა საქართველო, დაობლდა ფშავი.

შეკრთა ბუნება, ველარ ჰგოდებს, ვერცა რა უთქვამს,
მის საიდუმლოს ვინღა ახსნის, აწ ვინ გამოსთქვამს,
გარინდებულან ლურჯი მთები, მინდორი, ხევი,
ზვავიც შეჩერდა მთის წვერიდან ჩამონარხევი.
სირი არა სტვენს, შვლისა ჯოგი ტყეს შეეფარა,
პატარა ნუკრმა მწარ ობლობის ცრემლი დაღვარა.

სწყდება და სწყდება საქართველოს ხმატკბილ ჩანგს სიმი,
სამშობლოს მკერდზე გაუმართავს სიკვდილს ნადიმი…
შავო სიკვდილო!! რაც მოგვტაცე; ნუ თუ არ კმარა?—
— სამშობლოს მკერდი საფლავებით გადაითხარა.—
სულ გლოვა, ცრემლი! ნეტავ… ნეტავ… აღარ შესწყდება?—
და ერის ჩანგზე ნუ თუ სიმი კიდევ გასწყდება!…

**ი სიხარულიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**კონსტ. ალექ ვარლამოვი**
(1851—1915)

რუსეთის სახელ-განთქმული და საიმპ. თეატრთა დამსახურებული მსახიობი, ბუნებით თვითშემომქმედი მაღალ ნიჭიერი ხელოვანი, ალექსანდრეს საიმპ. თეატრის ერთი დედა-ბოძთაგანი, გარდ: 2 აგვ. დაკრძ. იქმნა პეტროგრადში, 4 აგვ. დიდის ზეიმით. ვ-ს სიკვდილი რუსთა სასცენო ხელოვნებისათვის დიდი დანაკლისია. ვ-ი ჩვენშიაც რამდენჯერმე ყოფილა.

---

# შაიამა*)

— „ხელმწიფის ხაზინა გაცარცვეს“, ქალაქში გავარდა ხმა: „უსათუოდ უნდა შევიპყრათ ქურდი, თორემ ავი დღე დაადგება მცველების უფროსსო“.

სწორედ, ამ დროს, უცხოელი ჭაბუკი, სახელად ვაირაზანი, გაცარცული ეგდო ძველ. სამლოცველოს ნანგრევებზე. საცოდავ ჭაბუკს, თავის სამშობლოდან ამ ქალაქში ჩამოეყვანა ცხენები გასასყიდლად. ყაჩაღების ბრბო დაეცა მას და რაც კი ფული ჰქონდა სულ წაართვა. აი, სწორედ ამას დააბრალეს ხელმწიფის სალაროს გაქურდვა; შებოჭეს, გაუყარეს ბორკილები და ქალაქის ქუჩებით გაგზავნეს საპყრობილისაკენ.

მშვენიერი, ამაყი შაიამა, გასაგიჟებელი სილამაზით შემკული, უსაქმოდ იჯდა აივანზე და გასცქეროდა ქუჩაში მიმავალ ხალხსა. უცებ ქალი შეკრთა: „უი! — წამოიძახა მან და მიმართა მსახურს: ვინ არის ჭაბუკი იგი, მსგავსი ღმერთებისა, კეთილ-შობილი გარეგნობით, რომელიც მიჰყავთ ჯაჭვებით შებოჭვილი, ვითარცა უბრალო ქურდი? სთხოვე ჩემს მაგივრათა მცველების უფროსს, მისი აქ მოყვანა“.

მცველების უფროსმა დაუყოვნებლივ აასრულა შაიამას ბრძანება, თუმცა კი მოახსენა:

— უდროვოა თქვენი ყურადღება, ქ-ნო, მე უნდა საჩქაროდ ავასრულო ხელმწიფის ბრძანება“. ამ დროს ვაირაზენმა სწრაფად ასწია მაღლა თავი და წამოიძახა:

— „რა მოგესურვა, ლამაზო ქალო, რომ უბრძანე ჩემი აქ მოყვანა ქუჩიდანა? იმიტომ ხომ არა, რომ დააკმაყოფილო შენი ცნობის მოყვარეობა და დამცინო„

— „დაგცინო შენ?! — უპასუხა შაიამამ — რას ამბობ, რას? მე სიხარულით გავცვლიდი ჩემს სამკაულს შენს ჯაჭვებზე!!.

შემდეგ ქალი მიუბრუნდა მცველების უფროსს: „წაიღეთ ჩემი ქონება, ფული, ერთი სიტყვით რაც კი რამ მაბადია, მხოლოდ ეს ყმაწვილი კი გაანთავისუფლე“.“ უფროსმა თავის დაკვრით უპასუხა: „არ შემიძლიან, ჩვენ უსათუოდ უნდა წარუდგინოთ მსხვერპლი ხელმწიფეს შურის საძიებლად.

— „მაშ გთხოვთ ორიოდე დღით გადასდოთ ხელმწიფის ბრძანების ასრულება.“ — არ ეშვებოდა შაიამა.

უფროსი ღიმილით დასთანხმდა.

—

უკვე მეორე ღამე ილეოდა, რაც ჩვენი ჭაბუკი, ჯაჭვებით შებოჭვილი, უმწეოდ ეგდო ცივ საპყრობილეში.

გათენებისას საცოდავი პატიმარი, უკანასკნელი წუთების მოლოდინში, მხურვალედ ლოცულობდა

ამ დროს, უცებ, გაიღო კარები და გამოჩნდა მანდილოსანი ლამპრით ხელში. ამ მანდილოსნის ბრძანებისამებრ მცველმა მსწრაფლ გაანთავისუფლა პატიმარი ბორკილებისაგან.

— „შენ ჩემთან მოხვედი, სანათურით, კეთილო ქალო! მომევლინე, როგორც დილის ცისკარი ბოლდვით გატარებულ შავ-ბნელი ღამის შემდეგ.“

---

*) ეს მოთხრობა ეკუთვნის ინდოელების გამოჩენილ მწერალს რაბინთა რათ ტაგორს, რომელმაც ამ მოთხრობაში მიიღო ნობელის პრემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „კეთილო—წამოიძახა შაიამამ, ყრუთ გადიხარხარა და ბოლოს ქვითინით დაუმატა:

— აქ, ამ საპყრობილეში ქვაც კი არ არის ისეთი ცივი, როგორიცაა ჩემი გული!“ — ამ სიტყვებით ქალმა მოჰკიდა პატიმარს ხელი და გამოიყვანა საპყრობილიდან.

ვარუნის წყლის ნაპირზე მზე ამოსულიყო: იქვე მდინარის ზვირთებზე ოდნავ ირხეოდა ნავი.

— „ჩავსხდეთ ამ ნავში, ახალგაზრდა უცხოელო“—უთხრა შაიამამ: „მხოლოდ იცოდე, რომ გავწყვიტე ყოველივე კავშირი ჩემ უწინდელ ცხოვრებასთან, რათა სამუდამოთ შენთან ერთად ვიცხოვრო ამ ნავზე“.

სწრაფად გასრიალდა მდინარეზე ნავი; ფრინველნი მხიარულად გალობდენ.

— „მითხარი, ჩემო საყვარელო, რა დაგიჯდა ჩემი განთავისუფლება? ვინ იცის რა აუარებელი ქონება დახარჯე?“ ჰკითხა ვაირაზენმა.

— „გაჩუმდი, ეხლა ნურას მკითხავ“ —უპასუხა ქალმა. საამური დილა შეიცვალა შუადღით. სოფლის დედა-კაცები ბრუნდებოდნენ საბანაოდან სველ კაბებით და წყლით სავსე კოკებით. დილის ვაჭრობა გათავდა.

სოფლის დაცალიერებული გზა მზეზე თეთრად ბრწყინავდა. ცხელმა, შუადღის ქარმა მოჰგლიჯა პირბადე შაიამას. ვაირაზენი ყურში ჩასჩურჩულებდა: „შენ განმათავისუფლე ბორკილებიდან, რომელთაც უნდა შევებოჭე საუკუნოდ. მითხარ, როგორ მოახერხე ეს? ქალმა ისევ აიფარა პირისახე: —„ეხლა ნუ, ჩემო საყვარელო“.

დღე ჰქრებოდა, სიბნელე შეჰბრძოდა სინათლეს. ქარი ჩადგა. ახალი მთვარე ოდნავ ბრწყინავდა და კეკლუცად იყურებოდა ლითონივით მოლაპლაპე მდინარეში. შაიამა მიმჯდარიყო ჩრდილში, თავი მიეყრდნო ჭაბუკის მკერდზე; მისი გრძელი, საუცხოვო თმები ნაზად გადახვეოდენ ჭაბუკის ხელს.

— „მძიმე, ძალიან მძიმე იყო ჩემთვის ის საქმე, რომელიც შენი გულისათვის ჩავიდინე, ჩემო საყვარელო“, წაიჩურჩულა შაიამამ: უფრო მძიმეა ამისი თქმა. მოკლედ გეტყვი—ჩემდამი სიყვარულით გამსჭვალულმა ახალგაზრდა უტიამ იკისრა შენი დანაშაულობა და ამით თავისი სიცოცხლე მე მანაცვალა.“

მინამ ქალი ლაპარაკობდა, მთვარე უკვე ჩავიდა· ტყის სიჩუმე ჩაძინებული ფრინველებით, გულს უხუთავდა, უწუხებდა ადამიანს

— „ჩემი უდიდესი ცოდვა ჩადენილია შენდამი სიყვარულის გამო, ჩემო ძვირფასო საყვარელო!“ დაათავა ქალმა. ახალგაზრდას ხელი ჩამოეცალა ქალის მოქნილ წელს.

ჩამოვარდა ყრუ სიჩუმე, ცივი, როგორც სამარის ქვა უცებ შაიამა ჩაუვარდა ჭაბუკს ფეხებში, მოეხვია მუხლებზე და დაუწყო მუდარა: „მაპატიე, ჩემო კარგო, დაე ღმერთმა გამსაჯოს!“

ვაირაზენმა გაინთავისუფლა თავის ფეხები და ყრუთ წამოიძახა: „როგორ, ჩემი სიცოცხლე გამოსყიდული იყოს ამისთანა ცოდვის ფასად! წყეულიმც კი იყვეს ყოველი სუნთქვა ამის შემდეგ“—ამ სიტყვებით ვაირაზენი წამოდგა ფეხზე, გადმოხედა ნაპირს და მიაშურა ტყეს.

იგი დაადგა დაკლაკნილ ბილიკს და მანამ შესაძლო იყო მისდევდა მას; მაგრამ უცებ ჭაბუკის წინ აღიმართა ხშირი კედელი უშველებელ, ერთმანეთში გადახლართულ-გადაწნულ ხეებისა, რომელიც თითქო მუქარით უკან აყენებდენ მგზავრსა. დაღლილ-დაწყვეტილი ვაირაზენი დაეშვა დედამიწაზე. მაგრამ ვინ არის ეს? ჩუმად, ქურდულად ფეხდაფეხ ვინ მისდევს ამ სიბნელეში! და აი ეხლაც, როგორც აჩრდილი, სდგას მის უკან.

— „არ მომეშვები? დაიყვირა ჭაბუკმა, ქალმა პასუხის ნაცვლად მიიწია მისკენ, მოხვია ხელი და დაუწყო ვნებით კოცნა, გახვია თავის თმებში, ტანთსაცმელში, მიეკრა მას, სწვავდა თავის ცხელი სუნთქვით და აკანკალებულის ხმით, რომელშიაც გმინვა უფრო ისმოდა, ეუბნებოდა:

— „არა, არა, მე შენ არასოდეს არ დაგტოვებ. საშინელი ცოდვა შენი გულისათვის ჩავიდინე. დამარტყი თუ გინდა; მომკალი შენის ხელებით!

ჩუმი სიბნელე ტყისა დაირღვა; შიშის თრთოლამ აიტანა ხეხილის ფესვები. კვნესამ და ხრიალმა დაარღვია ღამის სიჩუმე: ვიღასიც სხეული დაეცა დამჭკნარ ფოთლებზე!

—

დილის მზე უკვე ბრწყინავდა შორეულ ეკლესიის გუმბათზე, როდესაც ვაიარაზენი ტყიდან გამოვიდა. იგი მთელი დღე უაზროდ დახეტიალებდა მდინარის უდაბნო ნაპირებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცნობილი მომღერალი
**ივ. სარაჯიშვილი**
სამშაბათს, 25 აგვ. „ახალ კლუბში“ მისი ბენეფისის გამო.



ცნობილი ლოტბარი
**ი. პ ფალიაშვილი**
შაბათს, 22 აგვ. „ახალ კლუბში“ მისი ბენეფისის გამო.

---

ჩამოღამდა. ვაირაზენი ისევ თავის ნავს დაუბრუნდა. ნავის საჯდომზე ქალის სამაჯური ბრწყინავდა. ჭაბუკმა სტაცა მას ხელი და ისეთი სიმძლავრით ჩაიკრა გულში, რომ ტკივილი იგრძნო. კუთხეში ფირუზი წამოსასხამი ეგდო, ვაირაზენი ეცა მას; ჩაიხუტა იგი მკერდში, გაეხვია თავ-პირით აბრეშუმის ნაქსოვში, გაშმაგებული ყნოსავდა მას და სცდილობდა მისი სურნელებით გამოეწვია ძვირფასი, საყვარელი სხეულის სურნელება.

ღამე თრთოდა; ბგერდა გაზვიადებული სიჩუმისაგან. ვაირაზენი წამოდგა, მიმართა ტყეს და ხელებ გაწვდილი მუდარით იძახდა:

— „მოდი, ჩემო საყვარელო, მოდი?“

სიბნელიდან გამოჩნდა ადამიანი, რომელიც წყლის პირს გაჩერდა

— „მოდი, მოდი ჩემო ძვირფასო“!

— მე მოვედი, საყვარელო. შენმა კარგმა ხელებმა მე არ მომკლეს: მე სიცოცხლე მიწერია. ამ სიტყვებით შაიამა მიუახლოვდა ჭაბუკს და მის წინ გაჩერდა. ვაირაზენმა შეხედა, გადადგა ნაბიჯი წინ, რომ საყვარელი არსება გულში ჩაეკრა, მაგრამ უცებ ორივ ხელი ჰკრა და დაიყვირა: „ოჰ! რისთვის, რისთვის დაბრუნდი?“

დახუჭა თვალები, ზურგი შეაქცია და თან ეხვეწებოდა: „წადი, წადი, დამანებე თავი“.

ქალი ერთს წუთს კიდევ იდგა მის წინ ჩუმად, მერე დაეშო მუხლებზე და მდაბლა დახარა ჭაბუკის წინ თავისი ამაყი თავი, ბოლოს წამოდგა, გასწორდა წელში, გავიდა ნაპირას და შთაინთქა ტყის სიბნელეში, როგორც ოცნება სიზმრად ქცეული. ვაირაზენი კი გულ-დაწყვეტილი უსიტყვოთ იჯდა ნავში.

**შუშანიკ ასათიანი-ბუაჩიძისა**

# ვაჟა-ფშაველობა

ყველა დიდ გარდაცვალებულის შესახებ აუარებელი წერილი იწერება და ყველა ეს წერილი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო ახალი მიცვალებულისთანა არც ყოფილა და არც იქნება.

ილიათი ჩაესვენა საქართველოს მზე...

აკაკით დასრულდა რუსთაველობა...

ვაჟათი მოისპო მესაიდუმლეობა მთისა, ქართველი ერისა ..

არჩილ ჯორჯაძეს რომ საუკუნო ბინისკენ ვაცილებდით, მთელი თბილისი გამოფენილი იყო მგლოვარების საუბრებლად და ყველანი ჰკვირობდნენ, ვინ არის ეგეთი დიდი განსვენებული, რომ მის კუბოს ზღვა ქართველობა მისდევსო, ერთმა მკითხა:

— „კიდევ გუავთო ასეთის ზეიმით დასამარხავი?“

— ბევრი მეთქი, ძალიან ბევრი! — შევატყე არ ესიამოვნა უცხოელს ჩემი პასუხი და გაშორდა. მე მაშინ არ ვიცრუე, არამედ წრფელის გულით ვუპასუხე.

ჩვენის წარსულის გათვალისწინება საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ საქართველო დაბადავს არა-ერთ ბარათაშვილს, არა-ერთ ილიას, აკაკის, ვაჟას...

დიდი მოღვაწე, უკვდავი მწერალი და მგოსანი უდაბნოში არ ჩნდება, არამედ ყოველი ნიჭი იბადება განაყოფიერებულს და გაპოხიერებულს ნიადაგზე, იზრდება, ვითარდება და ძლევა-მოსილობას იძენს ადგილობრივ გარემოს მრავალგვარ ხელშემწყობ პირობათაგან.

საქართველოს ჯერ სძინავს, რომ დროითდრო აღმოაცენს მხოლოდ თითო-ოროლა მაღლით მოსილს, თორემ აქ ისეთი პირობებია, რომ მას შეუძლიან ასაზრდოვოს არა ერთი და ორი აგეთი, არამედ ათასი, უამრავი.

მამა-პაპას ბევრი კეთილი დაუზოგვია ჩვენთვის და თვით განგებასაც არ მოუკლია ჩვენთვის ნიჭი, გამბედაობა, შრომის უნარი, ზრდილობა მესხისა, გმირობა იმერისა, სიმდიდრე ქართლელისა; ხმალი კახისა — ყველა ეს მოუმადლებია ღმერთს ქართველისთვის.

ახლა რად ღირს თვით მშვენიერება და სიკეკლუცე ჩვენის სამშობლოსი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერადი მობიბინე ველები, კოსტა ბორცვები და კორდები; დევი მთები, ცამდე აზიდული მწვერვალებით მოვერცხლილნი; ბარად მოდუდუნე და ყვირილა მდინარეები; სპეკლად გადმომქუხარე ჩანჩქერები; ფირუზ-ზურმუხტიცა, უღრანი ტყეები მრავალ გვარ ფრინველითა და ნადირებით; ზომიერი ჰაერი: დიდებული გადასახედავები და საოცარი სახილველები... ყველა ეს, გინდა თუ არა, მოსახლეს სამგოსნო ფეხზე აყენებს, სიმკვირცხლის უნარს უღვივებს.

ჩვენი ქვეყნის შვენიერებას ზედ ემატება კიდევ შვენიერება მამა-პაპათა ნამოღვაწისა:

ველი-ბორცვი-მთა ნაბიჯსა და ნაბიჯზე შემოსილია აუარებელ საოცარ ძეგლებით, ქვეყანა გადათხრილია რუ-არხებით, შემკულია ლამაზ-ლამაზ სოფლებით, წიგნთ-საცავები სავსეა ტყავზე ნაწერ წიგნებით, შორს წარსულიდამ ალერსიანად გამოიყურება არა ერთი საკვირველი მოღვაწე, თვალსაჩინო მწერალი, მგოსანი (მათ შორის არა თუ პაწია საქართველოს, არამედ მსოფლიოს დამამშვენებელიც, ვით შოთა), სჯულმდებელი, თავდადებული გმირი; გამოიყურებიან, რომ შეამოწმონ, რას ვაკეთებთ, რას ვშვრებით, როგორ ვემსახურებით საქართველოს.

ამავე დროს თვით ერში მრავალსა-უმრავლეს კიდის-კიდემდე განფენილია სიტყვიერებითი თქმულება-გადმოცემანი ღმერთებსა და ბუნებაზე, ზესკნელსა და ქვესკნელზე, კაცსა და პირუტყვზე, კარგსა და ავზე, ცხოვრებასა და სიკვდილზე, მეგობრობასა და მტრობაზე, სააქაოსა და საიქიოზე,

და სხ. და სხ. მთელი ბუნება აუმეტყველებია ქართველს, მის ყოველ შემადგენლობასათვის მიუნიჭებია ხუთივე გრძნობა: „დროით დროცას კარები ედებაო“, „წამით წამს წყალსაც ძილი ერევაო; ამ დროს ჩერდებიანო მდინარეები, მაღლიდან დაწყებული ჩანჩქერებიც ადგილსავე უჩერდებიანო“. „ჩვენი სოფლის მეხა დუდუნებსო“; „ყვავმა გასძახა ყვავსაო: ჩავარდი გულის ხმასაო“. „მთა წმინდა ჩაფიქრებულა“. „მყინვარმა ქედი მოიხარაო იალბუზის წინაშე“.

აგერ გმირთ-გმირებიც: ჰკვნეტენ რკინას, ისვრიან ათას ლიტრიან კონცხებს, აღმოჰკვეთენ კალოს ტოლა ბელტებს, წიხლით შეანგრევენ ციხე-კოშკების კედლებს, ერთი ჰმუსრავს ათს, ასი ლეწავს ათასს...

ამ გვარ ფერადებით მორთულია ის თვალწარმტაცი წალკოტი, რომელშიაც ჩნდებიან და იზრდებიან შოთაები, დავითები, ილიები, აკაკიები, არჩილები, ვაჟაები და მომავალშიაც გაჩნდებიან (თუ ეხლავე არ გაჩენილან!) და ფრთას შეისხამენ ბევრი სხვა ვაჟაები, სამშობლო მიწა-წყლის მესაიდუმლენი.

კულტუროსანს ჩვენს სამემკვიდრეოში ყველასთვის არის საკმაო დაზოგვილობა: მგოსნისთვის, მქანდაკებლისთვის, მხატვრისთვის, მეცნიერისთვის მეტადრე ისეთ რჩეულთათვის, ვით ვაჟა, ილია, მოჩხუბარიძე და სხ.

შოთა დღევანდელ ქართველებისთვის ცოცხალი უნივერსიტეტია სწორედ ამ შოთას უნივერსიტეტში ისწავლეს ბარბარე ჯორჯაძემ, ნეტარ-ხსენებულმა მგოსანმა დავითაშვილმა და სხ. ამ უნივერსიტეტის ბარაქიანობა ჯერაც მკვიდრობს სოფლითი სოფლად, მეტადრე მტრის აკლებისაგან უფრო გადარჩენილს ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთში, რაჭას, სვანეთს, ლიხის მიუვალ ღელეებში. აქ იზრდებიან და აქვე საზრდოობენ პატარა დავითაშვილები, მესტვირეები.

ჩვენი საამაყო ვაჟაც, შვილი იყო გარემო ჰაეროვნებისა და ჰაეროვნებამ ბუნებითვე დიდი ნიჭის პატრონი უკვდავ და დიდებულ მგოსნად მოგვივლინა.

ამასთანავე იგი ევროპიულად განათლებულიც იყო მან მრავალი ძვირფასი საუნჯე შეიძინა, რომელსაც დაეწაფა თავის საოცნებო მსოფლიო მეცნიერებს და მესაიდუმლოებს: სპენსერს, ტეჲლორს, გიოტეს, შილლერს, ჰეჲნეს და სხ. აღარ ვიხსენიებ შოთას, გურამიშვილს, ბარათაშვილს, მეტადრე ილიას, აკაკის, სპენსერს და სხ. რომელთა გეგმაზე ჩამოაყალიბა მან თავისი მშვენიერი ეთნოგრაფიული წერილები (იხ. „ივერიაში“).

ხალხის თქმულებასაც იგი მძლავრად ეწაფებოდა. 25-დე წლის წინად მე დავბეჭდე „ქართველთა თქმულებანი“ (მზრუნვ. ჟურნ.) და მათ შორის „ყველაფრის ენის მცოდნე“. კაცი ყოველ სულიერ და უსულო საგნის ენის მცოდნე მაშინ გახდა, როდესაც გველთა მეფემ ჩააფურთხა მას პირში ვაჟას ნუსხაში კი ყველაფრის ენის მცოდნედ მაშინ გახდა, როდესაც გველის ხორცი შეჭამა (იხ. მისი დიდ-ხელოვნური პოემა „გველის მჭამელი“).

ვაჟა იყო ცოცხალი ალაბასტრი იმ ღვთიურ სურნელება-ყვავილებისა, რომელიც ჰფშვიდა ქართველ ერის მიერ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დარგული და სათუთად მოვლილ მტილწალკოტში; იგი, როგორც ღვთიური მეწალკო-

ტმა, უკეთეს ყვავილებიდამ აგროვებდა სურნელოვანებას შესამზადებლად იმ თაფლ-გოლეულობისა, რომელმაც დაატკბო სამშობლო ქვეყანა და რომელსაც ჩვენში დაენათლა სახელი ვაჟა-ფშაველობისა. ვიდრე არსებობს საქართველო, იარსებებს მის სასოების და მოლოდინის სათუთად გამომსახველი, თაყვან-საცემელი, ქონებით ღარიბი, ხოლო სულით მდიდარი ვაჟა-ფშაველაც.

ვიმეორებ, ნუ ამბობთ მოისპოო ვაჟა-ფშაველობა. მალე მას მოჰყვებიან სხვა ვაჟა-ფშაველები და უმეტესის სიძლიერით აღმოცენდებიან ახალი მოჩხუბარიძეები, ხხვა ნინოშვილები, ახალი დავითაშვილები, სხვა ილია-აკაკიები. კოხტად მორთული საქართველო ვერ იძუნწებს ტალანტებით, ვერ მოიკლებს სხივოსნებს მგოსნობასა, მეცნიერებასა თუ სხვა დარგში.

**მ. ჯანაშვილი**

# დასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 30)

მოგზაურობის საქმე თანდათან ეწყობოდა. პეპელას გარდა დაითანხმეს სკვინჩაძეც, ამაღლობელიც და მოხუცებულ ქალების როლის აღმასრულებელი თებრომე კიკაბიძის ქალი. პეპელას ძმა სერგო ინახულა სოსომ და მისი ნებართვაც აიღო. ასე რომ ამ მხრივაც საქმე გაკეთდა. ეხლა მხოლოდ საჭირო იყო შინაურული, ამხანაგური წესი საქმის წაყვანისა გამოერკვიათ და დაეცადნათ სეზონის დასრულებისათვის. წინასწარი თათბირი მოახდინეს კიდეც.

გადაწყდა, რომ ყველანი ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ წაგებ-მოგებაში, მხოლოდ თებრომე კიკაბიძისთვის უნდა ეძლიათ განსაზღვრული ჯილდო თითო წარმოდგენაზე. უამისოთ არ თანხმდებოდა. მისი წაყვანა კი მიუცილებელი იყო, მის როლებზე ეგრე გამოსადეგი სხვა არ იშოვებოდა.

ამხანაგები შეურიგდნენ საქმის ესეთ ვითარებას, მხოლოდ ერთი მორიგში კი გადაწყვიტეს, რომ არც ერთს განსაზღვრული რამ მარკა არა ჰქონდა, რომ ამითი დასში არ გაჩენილიყო უმცროს-უფროსობა, დასის არისტოკრატები და დემოკრატები. შემოსავლიდან, თუ რამ დარჩებოდა, ყველას ერთნაირად უნდა გაეყო.

ეს წინადადება ვარლამმა შემოიტანა. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენ ყველანი ახალგაზდები ვართ, ყველანი ერთ-გვარი ჭკპანის გამწევი თავის დარგში და ამ შემთხვევაში ნუ მივბაძავთ ძველებს, თანასწორნი ვიყვეთ, მთა-ბარიანობას ნუ შემოვიღებთო.

ამ წინადადებას სოსო და პეპელა მიემხრო სკვინჩაძე ცოტა განზე გადგა: შრომის ერთგვარი შეფასება, მართალია ახალგაზდები ვართ, მაინც შეუძლებელია, რადგან შეიძლება ერთმა ბევრათ მეტი გააკეთოს, ან ერთმა მეტი ყურადღება დაიმსახუროს საზოგადოებისა და მაშასადამე წარმოდგენების შემოსავალმა მისი მონაწილეობის გამო იმატოსო, მაგრამ აქ ამაღლობელმა აიმაღლა ხმა.

ის ერთ დროს მოსკოვშიაც იყო, ძალიან გატაცებული იყო სამხატვრო თეატრით და იქ გამეფებულ ანსამბლს აღმერთებდა.

ამიტომაც ამტკიცებდა თათბირზე:

— ჩვენ ერთი ვისმეს როლის საუცხოვო შესრულებით კი არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ, ამითი კი არ უნდა მოვიზიდოთ ხალხი, არამედ საერთო მწყობრით, მთლიანი სურათის შექმნით. ჩვენ ყველამ როლების რიგიანი და კეთილ-სინდისიერი შესრულებით უნდა გავუთქვათ სახელი ჩვენს წარმოდგენებს და არა რომელიმე კერძო პიროვნებით. ჩვენ უნდა საერთოდ დავიმსახუროთ საზოგადოების ნდობა, ეს არის უმთავრესი და ამის იმედით უნდა დავიწყოთ კიდეც მუშაობაო.

ამ უცხო აზრმა სკვინჩაძეც აიყოლია, ახალგაზდებს ბუნდოვნათ უკვე განაგონი ჰქონდათ „ანსამბლის“ ძლიერების ამბავი. ზოგი თვით ამაღლობელის მიერ, ზოგი სოსოსაგან, ზოგი სუფლიორ ვარლამისაგანაც, რომელიც გულდაგულ თვალყურს ადევნებდა ქალაქის ბიბლიოთეკაში რუსულ სათეატრო ჟურნალებს, განსაკუთრებით სამხატვრო თეატრის მოქმედებას და გაგებულ ამბებს ამხანა-

გებს გაუზიარებდა ხოლმე. ზოგჯერაც იგივე ვარლამი მოიტანდა რომელიმე სათეატრო ჟურნალის №№ ს და აქ მოთავსებულ სურათებ`ით, გრიმებით და სცენებით აინტერესებდა ახალგაზრდობას

ასე რომ ამ ხელად გასქრა „ანსამბლის“ მომხიბლავობამ. არც ერთს არ უნდოდა ჩამორჩენილ მსახიობის ახეული დაემსახურებინა, მით უფრო სკვინჩ ძეს, რომელსაც აგრევე იზიდავდა ეს ახალი სიო და ამიტომაც ამხანაგურ თანასწორობაზე ყველანი შესთანხმდნენ.

მხოლოდ ყველანი დაფიქრა რეჟისორის არჩევამ.

(გაგრძელება იქნება)

* *
*

კიდევ მახსოვხარ.

მახსოვს შენი თმები. მახსოვს შენი თვალები. შენი ღიმილი სიზმრად ნახული ვარსკვლავის ციმციმივით მახსოვს. . დღეს მოწმენდილ ცაზე თეთრი ღრუბელი დავინახე და—არ ვიცი რად—შენ გამახსენდი...

მახსოვხარ კიდევ.

მახსოვს შენი თეთრი კაბა, მახსოვს შენი ცისფერი წინსაფარი... მახსოვს.

მაგრამ მე შენ გივიწყებ. თან და თან ნელ-ნელა გივიწყებ...

გადიან წლები და თითეული მათგანი თითო ლეჩაქს გაფარებს ტანზე.

რა რიგ დამშორდი! რა რიგ გაფერმკრთალდა და გაიცრიცა ჩემს მოგონებაში შენი სახე!

გული მტკივა. ერთ დროს ულმერთოდ მტკიოდა გული, შენ რომ მომაგონდებოდი. ახლა გული მტკივა რომ მავიწყდები ..

მალე სულ მიეფარები ჩემს თვალთა ხედვას. მალე სულ დაგივიწყებ... მე, მე დაგივიწყებ შენ!..

ნეტავი ღამე იყოს ახლა და მოკიდებული სანთელი მედგას წინ!—ჩავაქრობდი და ბნელ ოთახში სიარულს დავიწყებდი. ვივლიდი კუთხიდან კუთხემდე, ვივლიდი დილამდე, ვივლიდი გათენებამდე! ვივლიდი, სულ ვივლიდი...

კ. ჭიჭინაძე

# საზოგადო მოღვაწენი



**ალექსანდრე გარსევანიშვილი**

(ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე, მწერალი. ცნობილი მასწავლებელი, სახალხო მოღვაწე, საზოგადო საგანმანათლებლო და საქველმოქმედო დაწესებულებათა მხურვალე მუშაკი და ცნობილი სახალხო ლექტორი)

ჩვენი ქვეყნის დაწინაურება კულტურის უანგარო მუშაკებზეა დამყარებული. რამდენად უფრო იმრავლებს ჩვენში სახალხო მუშაკთა რიცხვი, იმდენად ჩქარა დავწინაურდებით. ერთი ასეთი იშვიათი მუშაკთაგანია ალექსანდრე გარსევანიშვილი, რომლის სახელთანაც ბევრი კარგი საქმეა დაკავშირებული.

გორში დაბადებულმა პირველ დაწყებითი სწავლა გორშივე მიიღო, თბილისის გიმნაზიის სწავლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში დაამთავრა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. გარსევანიშვილი ჯერ ისევ სტუდენტი იყო სამშობლოსადმი სიყვარულმა რო გაიტაცა: ახალგაზრდობაშივე დაეწაფა საქართველოს ისტორიის შესწავლას და ქართველ სტუდენტთა წრეში წაიკითხა რეფერატები: „1) საქართველო მე 18 საუკ.“, 2) „უკანასკნელი ხანა ერეკლე მეორის მეფობისა“. ამ რეფერატებმა დიდათ შეუწყო ხელი მე 90-იან წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში მოსწავლე ქართველ სტუდენტების გათვითცნობიერებას. კურსი დაამთავრა 1888 წ. და იმავე წელს დაინიშნა ქუთაისის სააზ. სკოლაში (მაშინ ოთხ კლასიანი იყო) რუსული ენის მასწავლებლად. ზოგიერთ მასწავლებელსავით მარტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი დეპუტატები
**აკაკი ჩხენკელი და კარლო ჩხეიძე**

მშრალი პედაგოგიური მოღვაწეობით არ დაკმაყოფილდა და ქუთაისში ჩამოსვლისთანავე დაარსა წრე, რომლის მიზანი იყო ლიტერატურის შესწავლა და პედაგოგიური კითხვების გარკვევა. წრეში უმთავრესად პედაგოგები შედიოდნენ. წრის კრებებს ესწრებოდა ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე-მწერალი განსვენებული გიორგი წერეთელიც. წრემ გამოსცა სალიტერატურო კრებული „ცდა“. ამ კრებულში დაიბეჭდა გიორგი წერეთლის დიდი რომანი „პირველი ნაბიჯი“. ამავე კრებულში დაბეჭდა გარსევანიშვილმა თავისი შესანიშნავი ისტორიული შრომა „ერეკლე მეორე როგორც სარდალი“. იმ ხანებში როდესაც გარსევანიშვილი „წრეს“ მეთაურობდა, ჩვენმა საზოგადო მოღვაწე ქალებმა ქ. ქ. მარიამ ვარდოსანიძემ (ამ ჟამად ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებლის გამგეა), ვერა ჯაფარიძემ და მ. იოსელიანმა ქუთაისში დაარსეს ღარიბთა საკვირაო სკოლა. გარსევანიშვილმა ამ საქმეშიაც ენერგიული მონაწილეობა მიიღო და სკოლაში ღარიბთა შვილებს უფასოდ ასწავლიდა რამდენიმე წლის მამდინარეობაში ქართულ და რუსულ ენას. გარსევანიშვილი ერთი ინიციატორთაგანი იყო ქუთაისში „ქუთათური წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ დაარსების. ალექსანდრემ ქუთაისში თავის ბინაზე დაარსა მეორე „ქალ-ვაჟთა წრე“, რომელსაც მიზნად ქართული საისტორიო კითხვების გარკვევა ჰქონდა. 1892 წ., დიდი ხოლერობის დროს, ბ. ალექსი ჭიჭინაძის (ამ ჟამად თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორის) სურვილით გარსევანიშვილი ქუთაისიდან თბილისის სააზნაურო სკოლის (იმ დროს ჭიჭინაძე სკოლის გამგე იყო) რუსული ენის მასწავლებლად გადავიდა, სადაც ხუთი წელიწადი იმსახურა. მუსიკის სწავლება პირველად ამ სასწავლებელში გარსევანიშვილმა შემოიღო. გარსევანიშვილმა და ჩვენმა საზოგადო მოღვაწე ქალმა ფროსიკო ჭიჭინაძისამ (ალექსი ჭიჭინაძის მეუღლემ) თბილისში გამართეს საღამო, რომლის შემოსავლითაც სკოლას უყიდეს სიმებიანი საკრავები. პირველი ორკესტრი სააზ. სკოლაში გარსევანიშვილმა შეადგინა და თვით ასწავლიდა მუსიკას უფასოდ. (ამ საბავშო ორკესტრში ვიოლონჩელის პარტიას პირველად უკრავდა ამ ჟამად ჩვენში სახელგანთქმული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი).

1896 წ. უმაღლეს სამღვდელოების ნებართვით თბილისში ქართული საკვირაო სკოლები რომ გაიხსნა, ერთი ამ სკოლათაგანი გარსევანიშვილმა ჩაიბარა, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში მუყაითად განაგებდა და ენერგიულად ასწავლიდა ღარიბებს ქართულ ენას და რუსულ ენას. თბილისში განსვენებული მ. დემურიას თაოსნობით დაარსდა „ქალთა წრე“ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ამ წრეში გარსევანიშვილი სისტემატიურად კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიიდან. ამავე წრეში მონაწილეობდნენ ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალნი: ეკატერინე გაბაშვილისა, ანასტასია წერეთელისა და ეკ. მესხისა. ხუთი წლის თბილისში სამსახურის შემდეგ გარსევა-



**ვასო ურუშაძე**
მსახიობი და გურულ სცენების ავტორ-მკითხველი. შაბათს, 22 აგვ. მისი ბენეფისია ყვირილაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშკილი ისევ ქუთაისში გადმოიყვანეს მასწავლებლად, სადაც ჩვეულებრივის ხალისით აგილობრივ კულტურულ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა თეატრალურ საქმეებში. რუსულიდან ქართულად სთარგმნა ჩირიკოვის „ებრაელები“, ჰეირმანის „უოველთა მწუხარეთა“. წაუკითხავს მრავალი ლექცია თეატრის მნიშვნელობაზე და სხვა და სხვა პიესებზე. იგი ქუთათურების საყვარელ ლექტორად ითვლება. განვლილ მოძრაობის შემდეგ ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტი დაარსდა, რომლის გამგეობაში პირველათვე აირჩიეს და ამ ჟამად მისი თავმჯდომარეა: ის განაგებს უნივერსიტეტის საქმეებს, კითხულობს ლექციებს ისტორიიდან და ლიტერატურიდან, ხელმძღვანელობს სახალხო წარმოდგენებს სწერს და ბეჭდავს სახალხო წიგნებს და სხ.

**ილია ბახტაძე**

# ბედნიერი დღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 33)

## მოქმედება მეორე

ეგნატეს სახლის წინ მშვენიერი ბაღი. აქა-იქ დაწნული სავარძლები სდგას. დიდი კაკლის ხის ქვეშ გაშლილია სუფრა. თებრო, სონა და მელანო სუფრას აწყობენ. შორიახლოს სავარძელში ზის ეგნატე, ხალათით; ხელში კრიალოსანი უჭირავს და ღიმილით შესცქერის ქალაქს.

### I

### თებრო, სონა და ეგნატე

**თებრო** (მოსამსახურე ქალს) აბა, მელანო, ჩქარა, ჩქარა; სადაც არის სტუმრები მოვლენ. (გამოართმევს ბოთლებს და დადგამს სუფრაზე)

**სონა** (ასწორებს სუფრაზე თეფშებს და ბოთლებს) ეს ასე, აი ის იქით გადადგით, დედა. (უჩვენებს ბოთლებზე)

**თებ.** (მხიარულად) აგრე, გენაცვალოს დედა, ხომ იცი რა სტუმრებს მოველით?

**ეგნ.** (ღიმილით) ყოჩაღ! ყოჩაღ, ქალებო! ნეტავი მას ვისაც თქვენისთანა ცოლშვილი ჰყავს. (მივა სუფრასთან და თებროს ხელს დაჰკრავს მხარზე) მალადეც, თებრო, მალადეც: ერთი მეორეს მჯობნი ხართ დედა და შვილი.

**თებ.** (თითქოს გაჯავრებით) კარგი ერთი ხელს ნუ გვიშლი.

**ეგნ.** (მივა სონასთან და ეალერსება) აგრე, შვილო, აგრე. ქალისთვის პირველი საქმეა ოჯახობა. მარტო სწავლა არ კმარა. აი ჩქარა საკუთარი ოჯახი გექნება და ვნახოთ რას იზამ. ისეთი საქმრო გიშოვნე რომ უკეთესი ღმერთმა შეარცხვინოს.

**სონა** (მორცხვად) პაპა! თავი დამანებე! (გაუშვებინებს და ალაგებს)

**თებ.** (ამაყად) სონას საქმრო დიახაც რომ კარგი უნდა იყოს. (სონას) კარგი, შვილო, კმარა, დანარჩენს მელანო დაალაგებს. შენ შენს ოთახში შედი და მოემზადე

**სონა.** კარგი (შედის ოთახში)

**ეგნ.** (ჩაჯდება სავარძელში) მოდი თებრო რამე გითხრა.

**თებ.** (მივა და მიუჯდება გვერდით) აბა რა უნდა მითხრა?

**ეგნ.** (მხიარულად) ისა, რომ თუ ღმერთმა ინება და ჩვენი საქმე კარგად გათავდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. აპოლონი ნანატრი სიძეა—ნასწავლი, გაზრდილი, მთელ ქვეყანაში ცნობილი.

**თებ.** (წყენით) კაი დაგემართოს კარგია, თუ ცხოვრება და ოჯახი აქვს.

**ეგნ.** (ღიმილით) ყველაფერი აქვს, ყველაფერი, ჩემო თებრუკავ! პირველი კაცია მთელ საქართველოში. (მელანო შემოდის და გადის. ეძახის) მელანო! მელანო! (შემოდის მელანო)

### II

### თებრო, ეგნატე და მელანო

**თებ.** (მელანოს) ყველაფერი მზად არის?

**მელანო.** მზად გახლავთ, ქალბატონო!

**თებ.** ხომ ყველაფერი კარგათ გააკეთა „პოვარმა“?

**მელ.** დიაღ, ქალბატონო!

**თებ.** მაშ, წადი და ყური უგდე „კუხნაში“. (მელანო მიდის)

**ეგნ.** დაიცა, როცა სტუმრები მოვლენ აქეთ შემოიყვანე. (მელანო და სადღაც გადიან)

### III

### ეგნატე და კოტე

**კოტე** (გადმოდგება აივანზე და სიამოვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმილით) უჰ! რა მშვენიერებაა, აი სწორედ სამოთხის ბაღს რომ იტყვიან, აქ ყოფილა. (ეგნატეს) ვახლავართ, ბატონ ეგნატეს, (ჩამოჯდა ბაღში)

**ეგნ.** (მიეგებება) მობრძანდით, ბატონო კოტე, მობრძანდით კეთილი იყოს თქვენი პირველი ფეხი. დაბრძანდით (ხელს ჩამოართმევს. ორივე დასხდებიან) სხვა როგორ გიკითხოთ, კოტე?

**კოტე.** (ღიმილით) გახლავართ. თქვენ ხომ კარგად?

**ეგნ.** ვათრევ გაჭირვებულ სულს.

**კოტე.** (იცინის) ასეთი ბაღი მომცა, თორემ გამიჭირდება?.. გაჭირვება თქვენ სხვაგან ნახეთ, ბატონო ეგნატე, თორემ თქვენ რა გიჭირთ.

**ეგნ.** (ამოოხვრით) ეჰ! მოვხუცდი, ჩემო კოტე, მოვხუცდი. ეხლა თქვენისთანა ახალგაზდების დრო არის.

**კოტე.** (ღიმილით) ახალგაზდობა, თორემ ბევრს რამეს ვაკეთებთ!

**ეგნ.** რა უნდა გააკეთოთ? ქვეყნის გადაკეთება თქვენ არ შეგიძლიანთ და რაც ძალა და ღონე შეგწევსთ—არ იშურებთ. ეს მე კარგად მესმის.

**კოტე.** გასაკეთებელი ბარემ ბევრი რამ არის, მაგრამ რას იზამს კაცი (შემოდიან თებრო და სონა)

## IV

**თებრო, სონა, ეგნატე და კოტე**

**კოტე** (დაინახავს თებროს და სონას, სწრაფად წამოდგება და მიესალმება) როგორ ბრძანდებით, ქალბატონო თებრო? (სონას) თქვენ აბა რაღა გიკითხოთ, ვიცი რომ ბედნიერი და სრული კმაყოფილი ხართ.

**თებ.** გმადლობთ! დაბრძანდით! რატომ ასე ძვირად გვნახულობთ ხოლმე? (დაჯდება, სონაც გვერდით მოუჯდება)

**ეგნ.** (სიცილით) შენმა მზემ, სხვა საქმე არა აქვს კოტეს, რომ ყოველ დღე შენთან იაროს.

**თებ.** (წყენით) საქმე სხვებსაცა აქვთ, მაგრამ ნაცნობ-მეგობრებს არ ივიწყებენ.

**კოტე.** (ღიმილით) მართალს ბრძანებთ, ქალბატონო თებრო, საქმე ყველას აქვს და ნაცნობებშიც დადიან, მაგრამ წარმოიდგინეთ ერთი წუთი მოცალება არა მაქვს. მთელი დღე რედაქციაში ვზივარ, საღამოზე მივდივარ სახლში დაღლილ-დაქანცული და დასვენებასაც ვერ ვასწრობ, ისევ მივდივარ. ან სტამბაში, ან კლუბში ან სხვაგან სადმე. საქმეები აუარებელია, თავს ველარ ართმევს ადამიანი, თორემ, თქვენთან მოსვლა და დროის გატარება ყველას მირჩევნია.

**ეგნ.** (პაპიროსს მოუკიდებს) რასაკვირველია, ბევრი საქმეები აქვთ. შენა, გგონია, თებრო, შენსავით მოცლილია ყველა? (იცინის) მორჩი ოჯახის საქმეს და გათავდა, საითაც გინდათ იქით წახვალთ.

**თებ.** (წყენით) განა ოჯახში ცოტა საქმეა?

**ეგნ.** ვინ ამბობს, რომ ცოტა საქმეა. მაგრამ სად ოჯახის და სად ქვეყნის საქმე. ჩვენი ინტელიგენტები მთელი ჩვენი ქვეყნის საქმეს აკეთებენ და ჩვენთან მოსვლისთვის სადღა ექნებათ დრო?!

**კოტე** (სერიოზულად) ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია დღიურ გაზეთის წაყვანა. მთელი ქვეყნის მაჯის ცემას თვალყური უნდა ადევნო. უბრალო რამ შემთხვევას შეუძლიან სამუდამოდ დაღუპოს საქმე ვსთქვათ, მაგალითად, რომელიმე გაზეთმა გამოილაშქრა თქვენს წინააღმდეგ და მაგრად გაგლანძათ, თუ თქვენ უფრო მაგრად არ გალანძღეთ და ლაფში არ ამოსვარეთ – მკითხველები გულს აიცრუვებენ და გაზეთის პრესტიჟი საბოლოოდ დაეცემა. ასეთი ტანჯვაა რედაქტორობა. თვე ისე გაივლის კლუბში ვერ შევდივარ და ეგ ხომ დიდი სირცხვილია?

**სონა** (ღიმილით) კლუბის მაგიერ ჩვენსა მობრძანდით.

**კოტე** კეთილი და პატიოსანი, ქალბატონო სონა, მაგრამ უკლუბობაც არ შეიძლება.

**თებ** (სიცილით) ნეტავი თქვენა!

**ეგნ.** (გაიხედ-გამოიხედავს) ნეტა რა მოუვიდათ ამ ხალხს? (საათს დახედავს) უკვე ცხრა საათია. სწორედ ვახშმობის დროა.

**კოტე.** შეიძლება რამე საქმე გაუჩნდათ, მით უმეტეს აპოლონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეგნ.** (წყენით) არც მაგრე ვარგა, ყველაფერი არ უნდა დაივიწყოს კაცმა.

**კოტე** (ღიმილით) რ ს იზამთ, როცა საქმე თხოულობს. (მოისმის ზარის წკრიალი, კარები იღება და მელანო შემოუძღვება სანდროს და გიორგის. თვითონ ისევ შედის ოთახში)

[illegible]

(გაგრძელება იქნება)

# მე არ ვარ

მე არ ვარ კეკლუცთ პოეტი,
არც ვნებათღელვის მგოსანი,
არც მეძავთათვის მწერალი —
ბულბული ტკბილი ხმოსანი.
მე შორს გაურბი ხორციელს,
მოტრფე ვარ წმინდა სულისა...
სულსა მიხუთავს ცრემლები
დავრდომილ-დაჩაგრულისა. —
ჩაგრულთ ვეკუთვნი, მათი ვარ,
მე იმათ ვენაცვალები,
იმათში ვხედამ სიცოცხლეს,
იმათკენ მივეჩქარები...
შენ კი შორს ჩემგნით, კეკლუცო,
ტან ალვავ, თვალად კენარო,
აყვავებულო დროებით,
გაზაფხულისა მცენარო!..

გ. შინატეხელი

# ღამის მგოსანი

(დასასრული. იხ. „თ. და ც." 29)

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის დონისა და სიცოცხლის მიმცემიო" სთქვა დიდებულმა იდეამ. ტაბიძის სევდისთვის კი ეს ბრძნული ნარკვევი ძლიერ საგულისხმოა, რადგან მოძრაობა მატებს ჯანს, არა მარტო ჩვენს სხეულს ხორციელს, არამედ იგი სულსაც ამაღლებს, აფაქიზებს, ფართედ შლის, სიმკვეთრეს მატებს. სიცოცხლის საიდუმლოების გასაგებად ცხოვრება არის საჭირო, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ მოძრაობაში ცნაურდება, და როდესაც მგოსანი ამოძრავდება, მას თვალწინ გადაეშლება სარკესავით ცხოვრების საიდუმლო ჯურღმულები, მისი სევდა და სიხარული, სიმშვენიერე და სიმახინჯე, მისი წარმავალობა და ჩვენი უიმედო მისწრაფება მარადიულის და წარუვალისადმი. მარტო ცხოვრების ჭვრეტა საკმაო არ არის, განჭვრეტით, ჩვენ მხოლოდ სახეს ვხედავთ, უგნებოს და უმოძრაოს ვით ცივ მარმარილოს ქანდაკებას. მაგრამ ლამაზი ქალის მარტო განჭვრეტით ხილული სახე ვერ მოგხიბლავს, თუ მისი გნებით სავსე სხეულის, ნაკვთების რხევაც არ განიცადე, მისი სისხლის დუღილი, თვალთა ელვარება და თეთრ სხეულზე თხელი სამოსის შრიალი. ტაბიძე და ნ. ბარათაშვილი — სრული წინააღმდეგობაა თვისი ტემპერამენტით. პირველი თითქოს დატყვევებული უმოძრაო სულია, ბარათაშვილი კი ძლიერ ტიტანია, სულით მაღალი და გულით ვაჟკაცი. იგი თვის ბედს ფატალურად არ მინდობია, არ სცხოვრობს მხოლოდ შავი ფიქრებით, არამედ კიდევ ძლიერად მოძრაობს, იბრძვის, მუხთალ ბედს უმკლავდება. მის მერანს ძლიერი მუხლი და მაგარი ლაგამი აქვს და მგოსანიც ვაჟკაცურად და შეუპოვრად მიერეკება, რომ გადალახოს ეს ემპირიული და ვიწრო რკალი ცხოვრებისა; თუმცა ვარსკვლავებით მოჭედილის ცის მზერა, მასშიაც მხოლოდ დუმილის, მშვიდობიანობის ემბლემას ატარებს, მაგრამ მგოსანი, მის მყუდროებისადმი მიისწრაფის, იგი მხოლოდ მოძრაობით დაღლილ მგოსანს აყუჩებს, სევდით სავსე ოფლით უშრობს. ტაბიძე კი, მხოლოდ გარინდებულა შესცქერის ციურ მნათობთა მყუდროებას, მის ელვარებას შავ ღამეში და საიდუმლოებით მოსილ მშვენიერებას. იგი სდგას ვით უდაბნოს მწირი მწუხრის დროს და აღავლენს მედიდურ ლოცვას. მგოსანს ამ დროს მწუხარე ოხვრა ვერ აღმოხდება გულიდან, ცხარე ცრემლი ვერ გადმოსცვივა თვალთაგან, თვის ჩანგის სიმებს ხელს ვერ ჩამოკრავს, რადგან ეშინის არ დაარღვიოს საიდუმლო მყუდროება მსოფლიოსი:

„და შიში, რომ ხმა ადამიანის
დაარღვევს ციურ იდუმალებას,
მაქვავებს თავის ფარული გრძნებით
მხოლოდ მე ძლივს ვგრძნობ ამ წარმტაც გრძნებას."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგოსნის ფარულ ფსიხიკაში სასტიკი შეჯახება სწარმოებს ძლიერ გონებასა და სუსტ ნებას შორის. ასეთმა შეუთანხმებლობამ მგოსნის მთლიანი პიროვნება ორად გაჰყო: ერთის მხრივ, მგოსნის ლაღი ფანტაზიით შექმნილი, ძლიერი პიროვნება და მეორე მხრივ თვით მგოსნის ემპირიული, ყოველდღიური, სუსტი და მოცახცახე პიროვნება. ხდება სასტიკი შეჯახება ძლიერ და მოძრავ უსხეულო პიროვნების და მშვიდ მგოსნის შორის. იგი აგონებს მგოსანს წარსულ დაფერფლილ ცხოვრებას და უხატავს სიცოცხლის არარაობას. პიროვნების გაუფახვედრია ყოველი ძლიერი გონების მატარებელ ადამიანისა, ვისი სულიც არ ეტევა ვიწრო ემპირიულ ცხოვრების რკალში, და ვის ც მხოლოდ თავის წარმოდგენაში სურს, შეუერთდეს მის მიერ შექმნილ სამყაროს მარადიულობას. ასეთ ორ სახიან იანუსს წარმოადგენდა ბარათაშვილი, რომელსაც ცალი ფეხი ცივ მიწაზე დაეყრდნო, თვისი განუსაზღვრელი ლტოლვა კი მერანის სიმკვირცხლისთვის შეერთებია. მგოსანი, რომელიც სდგას სამყაროს საიდუმლოების წინაშე, ჰქმნის ილუზიას, რომ თითქოს გასცილდა საზღვარს „რასაც კაცთათვის ამყარებს ბედი“.

ემპირიულ სინამდვილით დამარცხებული მგოსანი გონებით ჰქმნის ახალ სამყაროს, რომელიც ისეთივე რეალურ მოვლენას წარმოადგენს შემოქმედისთვის, როგორადაც ეს ჩვენი ხელშესახები ემპირიულობა.

**მიხ. აბრამიშვილი**

(დასასრული იქნება)

# ფირფიტე კაბა

(სცენა)

მამა-წმიდას ვთხოვ ამოუფშუკოს თვალები ახლანდელ მოდნის ბარიშნებს, ისთე გააბითქინოს და გასტკლიცოს, რომე წიაპე კაბას მაგიერათ თორმეტ ფუთიან ტომარას იცმევდენ... ახლა ზოი მკითხავ': რეიზა იწყევლებიო?! დევიწყევლები კი არა, ისთე ვარ გაკუჭებული რომე, თუ შემხვდა სადმე მაგფერი გამოწყობილი ბარიშნა, ისთე მოვთელავ, რავალც საჩოხე შალი. რეიზა ვარ ასთე გაცოფიანებული—არ მკითხავთ?

აი ჩემი გასაკუპრავ ქალიშვილს დოუნახავს საცხა რაცხა მოდნა და დეიწყო:

—ბაბაი, შენი მუხლის ჭირიმე..შენი გვერდების ჭირიმე .. შენი გულ-ბოყვის ჭირიმე... შენი თვალების ჭირიმე... შენი გაფუცხუნებული ულაშების ჭირიმე ..

— ცავ, რავა ემეწეპე წურბელივით, რაი გინდა—არ მეტყვი თქვაა?

— რაი და —სამი კაბა უნდა შევიკერო ფირფიტეიო.

დედააა! ისთე გაგიხმოს თავარ-ანგელოზმა ხირხიტეი... სამი კაბის ფარა კი არა, შე გასათუთქო, უჭმელობით ღობერზე გადასაკიდებლათა ვარ გადაქცეული და ორ-ჯოხით დევიარები ჟამიანივით.

ამის თქმაი და—გაბზიკა ფეხი თავ-მოწყვეტილი ვარიეივით.. შეიჭინა ბუზარეი და არ მომცა საშველი, საქობამდის სიმინდის საყიდელი რვაი მანათი არ გამომსტაცა ხელიდან...

— წევიდა და მეიტანა... ახლა შესაკერი ფარა მომეცი, მოდნიცკას უნდა წოუღოვო!

მოი და ნუ გეიჩენ გენიას! რათ უნდა მოდნები იმფერ გომბიოს, რომელიც მისი რაცხას ვერ შეიკერამს... მივეცი! რა საშველი მქონდა! რო არ მიმეცა, მისთანა ღრიანცელს მორთავდა რომე, თელ მეზობლებს შეაგროვებდა... მე თელი დღეი სიმინდიზა დავქენთელობდი და ფერი ისთე მაქვს წასული რავალც ჭირიან ქათამს. მაგენი იფიქრებდა აი ნამდვილათ კვტარიაო და ქე დამასაფლავებდენ ცოცხალს,

შეაკერია, მეიტანა... ვფიქრობ სამ კაბას ერთ წელიწადს იყოფნიებს თქვა... ერთ წელიწადს კი არა—მაგ ოჯახ გამოტკლეცილ მოდნიცკას ყველე ერთ კაბათ გამოუყვანია...

ახლა რავალია, არ მკითხაავო!! წელი ისთეა გამოწიაპებული, რავალც ტყემალ ნაჭამი წევარი. გამოწიაპება არ მწყინს იმიზა რომე, ამ ყოლოფერ-ცეცხლ წაკიდების ხანს ქადსა და ლომს ბეურს ვერ შეჭამს. წელქვევით დარჩუა კვინტუას შარვალივითაა მიჭმუჭ-მოჭმოჭული, მას ქვევით გადაფირფიტებულ და გადაატაჟებული... გადაფირფიტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულ გადაატაკებული ისთე რომე, თავ-დაღმა რომ ჩამოკიდო, კიბე გეგონება და ქი ახვალ ქუსლებამდის. გავშტერდი კაცი: რა-ა აი უცნაური თქვა?

გამეეწყო... დეემზადა წასასვლელათ და ვხედავ უკან! აგერ კისერზე ქიარა აქვს კიდო გ დმოფირფიტებულიი?! წავხთი და აგია! გაფხრეწია შიგნით კოფთა და ამოვარდნია კი ერში თქვა.

ვტაცე ხელი და ქე შევაწყვიტე ძირში. ჩეიწყო კივილი: აგი მოდნა იყო და, რეიზა გამომჯაყე დუნიაზევო. თფუი! . ღმერთმა დასწყევლოს აშფერი მოდნა. ცავ აი რაფერიია, ინდოურის კუდივითაა კისერზე ჩამოფირფიტებული თქვა,—არა ვინ გეიგონა შენი?!..

**ალი-ძამია**

# სამგლოვიარო წერილი

ვაჟა ფშაველას გარდაცვალებამ გული მომიკლა. არ ვიცი, ჩვენ, ქართველებმა რა დავაშავეთ, რომ ზედი-ზედ ასეთი დიდებული ადამიანები გამოგვტაცა ხელიდან დაუნდობელმა სიკვდილმა. ჯერ კიდე აკაკის დაკარგვით ცრემლი არ შეგვშრობია და ამას მიუვა დიდებული მგოსანი ვაჟა ფშაველა. მძიმეა ქართველი ერის მდგომარეობა ამისთანა დროს, როდესაც ჩვენი ბედის ჩარხი უკუღმა შეტრიალდა და ათასობით ქართველნი ვაჟკაცნი ბრძოლის ველზე იხოცებიან... ბედმა ასეთი ტანჯვა ვაება არ გვაკმარა და შინაც ჩვენი აღმზრდელნი მამა მოძღვარნი გვეხოცებიან. მიკვირს რა დავაშავეთ ისტორიასთან!

ძვირფასო მეგობარო, ვაჟა ფშაველას ხსოვნის პატივ-საცემად გვირგვინის ნაცვლად გიგზავნი ათ მანეთს (10 მ). გთხოვ ეს ფული რამე კეთილ საქმეს მოახმარო.

მარად თქვენი მოსიყვარულე **ვ. კირვალიძე.**

# ქართული სახიობა

**ხარფუხის კლუბის** მესვეურნი თანდათან მეტს უნარს იჩენენ კლუბის წევრთა და სტუმართა გონივრულ გასართობად და საღამოებს ისე აწყობენ, რომ ყველასთვის საამო იყოს. 6 აგვ. გაიმართა კონცერტი ვანო სარაჯიშვილისა, ი. ტომაშევიჩისა და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით. თუმცა მომღერალნი ღია დარბაზის სცენაზე მღეროდენ, საიდანაც ხმა იფანტება, მაინც მრავლად დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს,—ივ. სარაჯიშვილის გამოწვევას ხომ დასასრული არ უჩნდა. ალ. იმედაშვილმა წაიკითხა კ. მაყაშვილის „ძველო ღმერთებო"! და გ. ახოსპირელის დაუბეჭდავი ლექსები. ყველა აღმასრულებელთ დამსწრენი ვაშათი და ტაშით მიეგებენ. საღამო ადრე გათავდა (10 ს. 45 წუთ.), რაიცა სასიამოვნოა: შორით მოსულებს ტრამვაით წასვლა შეეძლოთ.

**ქ. თელავში** ნ ჩხეიძისა და ალ. იმედაშვილის მონაწილეობით 4 აგვ. წარმოადგინეს „ოტელლო". არ ვიცი რა ხელმძღვანელობით ამოერჩიათ ეს პიესა! განა შე ძლება „ოტელლოს" ასე გაიაფება, მისი ასე მასხარად აგდება, როგორიც ჩაიდინეს აქაურმა სცენის მოყვარეებმა? (უფრო რომ ნათლად ვსთქვათ, სცენის მტრებმ! ძალა უნებურად გაგახსენდება ჰამლეტის სიტყვები: „არც ლაპარაკის კილო, არც მიხვრა-მოხვრა მათი ადამიანისას არა ჰგავნებია, არც ქრისტიანისას, არც წარმართისას. ისე იჭიმებოდნენ და ღრიალებდნენ, გეგონებოდათ ბუნებას შეგირდები ჰყოლია და იმათ შეუქმნიათ ეს ადამიანები, მაგრამ კარგნი ვერ გამოსულან და იმისთვის ისე უმზგავსად ჰბაძვენ კაცობრიობასო". ყოველი მათგანი უმწეო და შესაბრალისი იყო, ასე გეგონებოდათ, წარმოდგენის წინ ყველას ცხელ-ცხელი კარტოფილი მიურთმევია, პირი გამოხანხლია და სიმწვავის ზე გავლენით ძლივს ლუღლუღებსო, ისე უაზროდ ისვროდენ შექსპირის დიდმნიშვნელოვან სიტყვებს. რაღა უნდა ვთქვათ თვით პიესის დადგმაზე, ან რა უნდა მოვსთხოვოთ თელავის ბუნჩუტო სცენას, სადაც, გავკადნიერდები და ვიტყვი, კატა კუდს ვერ მოიქნევს. თვით სატახტო თეატრების სცენაზედაც კი ძნელდება „ოტელლოს" რიგიანად მოწყობა და შესრულება: პიესის მოსმენა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ბ-ნ ალ. იმედაშვილს არ გამოეყიდნა მათი შეცოდება. სწორე გითხრათ არ მოველოდ თ ალ. იმედაშვილისგან ასე ოტელლოს დახასიათებას. მსახიობი ჩვენ თვალწინ უცბად გაიზარდა და გარდაიქცა ჭეშმარიტ ხელოვანად. მან ნათლად დაგვიტკიცა ერთხელ კიდევ, რომ თავისგვარი მშრომელი და ენერგიის პატრონი მსახიობი ქართულ სცენას ბევრი არა ჰყოლია. ჩვენ ულოცავთ მსახიობს სრულ გამარჯვებას. მის მიერ დასურათხატებული ოტელლო ფრიად მოსაწონია! ეტყობა კარგა შეუგნია ოტელლოს პიროვნება. ალაგ-ალაგ მისი თამაში პირდაპირ კლასიკური იყო! განსაკუთრებით კარგი იყო მესამე მოქმედებაში, სადაც მსახიობმა დიდი ტემპერამენტი გამოიჩინა და ნათელჰყო თავის ნიჭის სიძლიერე. მსახიობი ცოტა მოისუსტებდა უკანასკნელ მოქმედებაში. ალ. იმედაშვილის ოტელლო მეტი ყურადღების ღირსია და მისი დაფასება შემდეგისათვის გადავდოთ, ეხლა კი ვიტყვით, რომ ქართულ სცენას ამისთანა ოტელლო ჯერ არავინა ჰყავს: დეზდემონას ასრულებდა ჩვენი სცენის მნათობი ნ. ჩხეიძე. ამ საღამოს ჩვეულებრივი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია მაყურებელზე და ეს კი მის დაღლილობას მივაწერეთ. მსახიობ ქალს უგულებაც ეტყობოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაგოს ძნელ როლს ასრულებდა ბ-ნი კორიშელი. ბ. კორიშელი კარგი მსახიობია თავის როლებში, იაგო კი მისთვის შეუფერებლად მიგვაჩნია, არა უჭირდა რა ბ. გომელაურს (კასსიო), ბ. ვ. ვაჩნაძეს (როდერიგო) და ქ-ონ ბეჟანიშვილს (ემილია). საერთოდ პიესამ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა, ერთი ან ორი მსახიობი ვერაფერს გახდება, თუ იმისთანა ანტურაჟი იქნება, რომლითაც გაგვიმასპინძლდნენ. **ვ გარრიკი**

**აჭარელთა სასარგებლოდ სოფელ ლამისყანაში** (გორის მაზ.) 6 აგვისტოს თავ. ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლეში დ.მსახურებულმა სცენის მოყვარემ ბ-ნმა გ. ჯაბაურმა დარბეულ აჭარლებ ს სასარგებლოდ გამართა სახალხო კითხვა ბუნდოვან სურათებითა. წაიკითხა ისტ. პიესა „და-ძმა“ ვ. გუნიასი, „რობინზონ-კრუზოს“ მოგზაურობა და „თავდადებულნი ქართველნი“ ..

უნდა ვსთქვათ, რომ სოფლად ამნაირი სახალხო კითხვების მოწყობა ფრიად სასიამოვნოა და ხალხისთვისაც სასარგებლო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა შესაფერად და ხალხის გემოვნებაზე არის შედგენილი. გ. ჯაბაურს კი ამ საღამოსთვის, არ ვიცი აჩქარებით მოსვლოდა, თუ სხვა მიზეზების გამო, შესაფერად ვერ შეემუშავებინა პროგრამა, რის გამოც, მისმა გრძნობიერმა კითხვამ ხალხზე ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა... ბუნდოვანი სურათები მშვენივრად იყო ნაჩვენები, განსაკუთრებით „და-ძმისა“...

მადლობის ღირსი ბრძანდებიან ჩვენი უხვი ქველმოქმედი კნ მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, მღ. გ. კარბელაშვილი და მასწ. ქალი ს. ყურულის ასული, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ საქმის მოწყობაში და დიდად დაეხმარენ ბ. გ. ჯაბაურს.

**კანრაე**

**დ. ლაილაშის** სამართველოს შენობაში 8 აგ. წარმოადგინეს „არსენა“ ალ. ყაზბეგისა, სა იტერატურო-მუსიკალური განყოფილებით.

წარმოდგენის დაწყებამდე ლ. დადეშქელიანმა წაიკითხა რეფერატი აჭარელთა ცხოვრებაზე და საზოგადოებას გააცნო ჩვენსა და მათ შორის რა ნათესაური დამოკიდებულებაა. მომხსენებელს მომზადება ეტყობოდა. წარმოდგენაში თამაშით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდენ ე. გაბიანი (გარსევანის როლში), შ. მჟავანაძე (არსენა), ბ. ვ. კუპრაშვილი (მოურავი). არა უშავდა პეტრეს როლის ასმსრულებელს (ს. კორიშელი). სომხის როლის ასმსრულებელს ვერ შეეგნო, ვერ აელო ალღო სომხის ტიპისა. ქალებ სუსტობდენ. სიმღერებმა სავსებით ვერ დააკმაყოფილა მსმენელი საზოგადოება. საღამოს ელფერი მიეცა ლექციების წაკითხვით. კარგად კითხულობდა თ მარ კუპრაშვილი, ქ-ნი ნადირაძისა და პატარა გოგუცა კუპრაშვილი. ბევრი აცინა საზოგადოება ე. გა იანმა და გ. მჟავანაძემ, ჯარისკაცთა ტანისამოსით შემოსილებმა, რომლებიც იმერული კილოთი მოუთხრობდენ ერთმანეთს ომის ამბებს.

შემოვიდა 175 მ. ანგარიშის შემდეგ ფული გადაეცემა დანიშნულებისამებრ. მადლობის ღირსია ახალგაზრდობა, რომლემაც ასეთ კეთილ საქმეზე თავის ძალღონე არ დაიშურა. **ლაჯანელი**

**ძ. დუშეთში** ორშაბათს, 3 აგვ. სამხედრო ს კრებულოს დარბაზში, წ. კ. გ. სახ. განყოფილებ მ ადგილობრივ ძალთა მონაწილეობით თავის სასარგებლოდ წარმოადგინა, ,,ქართველი დედა'', ისტ. დრ. 4. მ. ცაგარლისა. მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, პიესა მაინც გვარიანად ჩაატარეს.

კ.რგნი იყვნენ: ქ-ნი ს. ეპიტაშვილი (დედა),— გრიმი არ უვარგოდა; ქ-ნი ნ. კანდელაკი (ლეილა), რომელიც დიდი ხანი არ არის, სცენაზე გამოვიდა და ეტყობა ნიჭი და სიყვარული ხელოვნებისადმი ქ-ნი ვ. მოლოდინი (ფატმა); ბ. ი. ინაშვილი, განსაკუთრებით უკანასკნელს მოქმედებაში, როდესაც სატრფოს დასტირის,

ბ. ლ. ბერიძე (ფაშა) უნაკლოდ ასრულებდა როლს, ამათ ხელს უწყობდენ ს. კობაიძე (ომარხანი) და ლ. მერებაშვილი (პაპუა), რომელიც სცენაზე გამოვიდა პირველად. დანარჩენთ როლების უცოდინარობა ეტყობოდათ.

საერთოდ ამ საღამომ მოლოდინს გადააჭარბა. საზოგადოებაც, როგორც ყოველთვის, ბლომად დაესწრო, მიუხედავათ იმისა. რომ ამ ერთ კვირაში სამი წარმოდგენა დადგეს. ხალხი კმაყოფილი დაიშალა ღამის 1 საათზე.

**დამსწრე.**

# წვრილი ამბები

**იწერება ახალი პიესა** „მანჟეტები“, დრ. 4 მოქ. ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან. დახასიათებული იქნება ახლანდელ ქართველ სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების თითქმის ყოველი მხარე, სხვა და სხვა ხასიათის ტიპით.

**კომპ. ზ. ფალიაშვილი** თავისი ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პარტიების (როლების) გადაწერას მალე დაამთავრებს და მზადებასაც შეუდგება. ოპერის სრულად დადგმა განზრახულია საშემოდგომოდ.

**ახალგაზდა მუსიკოსს რევ. გოგნიაშვილს** განუზრახავს „ქრისტინე“ს ოპერად დაწერვა.

**კომ. დ არაყიშვილი** აგარაკიდან მოსკოვს დაბრუნდა. მისი ახალი თხზულება, რომელიც მოსკოვის ერთ ერთ სტამბაში იბეჭდებოდა, დანიშნულ ვადაზე ველარ გამოვა, არეულობის დროს სტამბის აკლების გამო.

**ჟურნალ-გაზეთების** საბეჭდავ ქაღალდის ფასმა 60 % აიწია.

**ცნობილი მწინობარი** ნოე რამიშვილი, რომელიც გასულ კვირას (12 აგვ.) მეტეხის ციხიდან გამოუშვეს, წაღვერს წავიდა ჯანსაღობის აღსადგენად.

**ქართველ მოღვაწე-მწიგნობართა** თავ-შესაფარი-აგ რაკის ასაგებად წალვერში, თანახმად მ. მურვანიშვილის გეგმისა, ვასილ კირვალიძემ 10 მ. შე-მოსწირა.

**ხარფუხის კლუბის წევრთა** საზოგადო კრება ბ. ცხომელიძის თავმჯდომარეობით შესდგა 14 აგვ. კრებამ წესდების ორი მუხლი შესცვალა: 1) სა-წევრო ფულის 6 მ. მაგ ერ 8 მ. დაა'ესა ჩაწერვის დროს 10 მან უნდა შეიტანონ) და 2) წევრთა რიცხვი 300-ით განსაზღვრა (აქამდე 200-დე წევრის მიღების ნება ჰქონდათ). კლუბის საქმე კარგად მიდის.

**მეჭიანურე** ალ. ოგანეზაშვილი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

**ცნობილი მომღერალი ვანო სარაჯი-შვილის** ბენეფისი „ახალ კლუბში" გაიმართება სამ-შაბათს, 25 აგვ.

**გარდაიცვალა თავ. იასონ თავ. გე-ლოვანი,** ლეჩხუმის მაზრის თავ.-აზნაურთა წინამ-ძღოლი (18 წ. ასრულებდა თვის მოვალეობას), ქარ-თული ძველი და ახ ლი მწერლობის დიდი მცოდნე, შეგნებული მამულიშვილი და მთელი ლეჩხუმის მცხო-ვრებთა, წოდების განურჩევლად, დაუღალავი მზრუნ-ველი. დაკრძალულ იქმნა სოფ. ახალ-ქალაში, 19 აგვ.

**ქართული თეატრის ასაგებ თანხის** გა-საძლიერებლად დღემდე სხვა და სხვა პირთაგან შემო-სულა 8463 მ. 10 კ. „ახალ კლუბში" შეგროვილი— 3413 მ. და კნ. ე მ ერისთავისაგან 3000 მ. სულ 15277 მან. 90 კაპ შემომწირველთ ფული უნდა გამოგზავნონ თბ. გუბერ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 4), გუბერნიის მარშლის, ა'უ ბიუროს ხაზინადარის თავ. დ. ე. ჩო-ლოყაშვილის სახელზე.

**ხონის თეატრში** ცეცხლის გაჩენის გამო გუბერნატორმა ბოქაულს უბრძანა თეატრი დაკეტოს.

**ერეკლე მეფის კანც ლერის — მსაჯულის** სოლომონ ლეონიძის გარდაცვალების ასი წლის თავი წელს სრულდება

**ახალ ქალაქში** აჭარელთა სა'არგებლოდ თარხნიანთა თაოსნობით, კ. ანდრონიკაშვილის რეჟი-სო^ობით, ც ამირეჯ^ბისა და ს, რომანიშვილის მო-ნაწილეობით წარმოდგენილ იქმ'^ „იმართლე" (მარ-ჯე) და „დალატი" მე-5-ე მოქ. წარმოდგენამ მწყო-ბრად ჩაიარა. დაესწრო დიდძალი საზოგადოება. ნაღ-დი დარჩა 300 მანეთა^დე, რომელიც უკვე გარდაეცა საქ. მოქ. საზოგადოებას

**სახალხო თეატრის** წრის რეჟისორად წელსაც კ. მ^თირიშვილი მიიწვიეს.

**მსახიობი ვ. შალიკაშვილი** თბილისს ჩა-მოვიდა.

**ნ. გ. ქართველიშვილი,** ქარ^. დრამ. საზ. ნათავმჯდომარალი თურქესტანის განაპირ მხარეში მიდის სავაჭრო საქმეთა გამო.

**ვასო აბაშიძე** ხაშურს ეწვია. დარჩება. ერთ თვეს და წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებს (ხაშურს, სურამს, ბორჯომ და გომში).

**ქუთაისის დასის** მოკარნახე გ. გუროული სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

— **ვ. ურუშაძის საბენეფისოდ ყვირილაში** 22 აგვ. წარმოდგენილი იქნება „უბედური ნაბიჯი" და მ სი ახ ლი პიესა „გასათხოვარი ქალები" ვოდ. 1 მოქ.

— **თავ. ლელო ანდრონიკაშვილმა** გურ-ჯაანში სახალხო თეატრის ასაშენებლად ელ. ანდრო-ნიკაშვილს აღუთქვა ნახევარი დესეტინა მიწა.

**აბასთუმანში აჭარელთა სასარგებლოდ** 4 აგვ. სალიტერატურო—სამუსიკო საღამო გაიმართა საღამო შინაარსიანი და ნაირფერი იყო. დიდათ ასია-მოვნა დამსწრე საზოგადოება. შემოსავალი 200 მან-დია.

**აჭარლები ვაჟას გარდაცვალების** გამო თვ-ს მწუხარებას უერთებენ სრულიად საქართველოს გლოვას.

**დ. ხარაგოულის „უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს"** გამგე მღ. ანან-ა კიკნაძე სთხოვს საზოგადოებას, განსაკუთრებით ხარაგოულის საზოგა-დოების შვილებს, რომლებიც სხვა და სხვა დაბა-ქა-ლაქებში ცხოვრობენ და შეძლება ხელს უწყობს, დაეხ-მარონ სამკითხველოს ფულით, ჟურნალ-გაზეთების გა-წერით და წიგნებით. შემომწირველთა თვისი წვლილი უნდა გაუგზავნონ М. Бѣлагоры. Свящ. Ананiѣ Кикнадзе.

**ჩვენი თანამემამულე** ახალგაზდა მომღე-რალი (ტენორი) ჩარგიანი თბილისის ოპერაში მო-წვეული.

**ახალგაზდა ბალერინა** თ. გამსახურდია, ჩვენი თანამემამულე ქალი, რომელიც მოსკოვს ზიმო-ნის ოპერაში ცეკვავს, თ ვგამოდებით სწავლობს ფრან-გულ სკოლის ცეკვას. ხელმძღვანელობს ცნობილი ბალეტმეისტერი ფოკინი.

მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა

**ახალი წიგნი** თ. მთავ^იშვილმა და ამხ. ქუთაისში ახლახან გამოსცა ს. რ. გორგაძის წიგნი: „გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია-„ ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია". ქართველი მწერლების ორიგინალურ ნაწარმოებ-თა ნიმუშები. ძველი ქართული მწერლობა გაყო-ფილია სამს პერიოდად თითოეულს პერიოდს წინ უძღვის საზოგადო განხილვა პერიოდისა. თითოეული მწერლის ნაწარმოებთა ტე;სტს წინ მიუძღვის მწერლის მოკლე საბიოგრაფიო ცნო-ბები. მწერლის და პერიოდის შესახებ ცნობები დამყარებულია მეცნიერულად შემუშავებულ დე-ბულებაზე ტექსტის ქვემოდ, სადაც საჭიროა; მოყვანილია საძნელო სიტყვების განმარტება. წიგნი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე გამოცე-მულია სუფთად. ღირს 1 მ. 20 კაპ.

ეს წიგნი პირველი სახელმძღვანელოა ქარ-თულ ძველ მწერლობის შესასწავლად ჩვენებურს საშუალო სასწავლებელში. მისი მსგავსი არა მოგვეპოვება რა ქართულ ენაზე **ი. თეზ-ტელი**

Дозволено Военной Цензурой

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

## ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

**ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება**

**შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ**

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად იზდიდე-ბული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა-გან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. **წ**იგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუ-კეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკუ-ლი. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათიითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების"** რედაქციაში „სორაპანი"-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. „**Театри да Цховреба**" **Іос. Имедашвили.**

---




მეოთხე წელიწადი

## მიიღება 1915 წ. ნახევარი წლის ხელმოწერა

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერა-ტურო, სახელოვნო და საზოგადოებ-რივ ჟურნალ

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშეა.

**ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო** პიესა.

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი **10** კაპ.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს. **მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** ორიგებით, ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" **Іосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**


Типографія „**Сорапань**" სტამბა „**სორაპანი**"

გამოვიდა და ისყიდება
# სამზარეულო
„სორაპანის“ გამოცემა ქართული და ევროპიული საჭმელების სრული
ფასი 1 მ. 40 კ. მისამართი: Тифлисъ Типогр „Сорапань“ Мих. Спир. Гачечиладзе

## ნომრები „ავრორა“
ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სმაზარეული, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით —დუში და ვანნა).
თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.
ტელეფ. 13—14 (წ)




# ა ფ თ ი ა ქ ი
## პროვიზორის ა. ს. ახვლედიანისა
(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

**1 მაისიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**
# განათლება
ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი „წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გზეთები არ გაეგზავნებათ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
**კანტორის ადრესი:** ოლგინსკი, 6.

**ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა**
# ეშმაკის მათრახი
ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშმაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.
**თანამშრომლები:** ალბურითხი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, გენტი, კვინწარი, კოდო, მორიელი, ნაფუზოლონოსორი, ონისიმე, ზიტრა, ფონ-ტეფო, შ. ქიქოძე, შმერლინგი, ჭაურელი, ხუმარა და სხვ.
ჟურნალის ფასი—1 წლით 5 მ., 6 თვით 3 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ.
„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები. შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხ.
ჟურ. დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.
რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ С. П. Таварткиладзе. Ольгинская 6, почт. ящ. № 96 (ეშმაკის მათრახისთვის)